



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 204/ს
22/07/2022

204-21-4-202207221227



ქ. ფოთში, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ფოთში, „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე არსებული ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

2020 წელს (27 ივლისი - 27 აგვისტო), სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა კომპანიის კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ და 79⁸ მუხლების პირველი ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტზე (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება და საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №062147 და №062148 ოქმები და ადმინისტრაციული წარმოების მასალები გადაეგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა განთავსებულია ქ. ფოთში, „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე (ს/კ: 04.01.01.583). გამწმენდი ნაგებობის განთავსების GPS კოორდინატებია: X-719122.68, Y-4671437.09. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 610 მეტრით, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, შავი ზღვა - 300 მეტრით, ხოლო უახლოესი ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი (GE0000006 „კოლხეთი“) - 4100 მეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოსამრეცხაოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მოცულობა შეადგენს 0,4 მ³/სთ-ს, რომლის გაწმენდა

ხორციელდება ესტონური წარმოების, 1,8 მ³/სთ წარმადობის გამწმენდი ნაგებობის საშუალებით, რაც სრულიად საკმარისია ავტოსამრეცხაოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ჩამდინარე წყლები, ობიექტზე არსებული ბეტონის არხების მეშვეობით, გროვდება მიწისქვეშა რეზერვუარში, საიდანაც გადაინაცვლებს გამწმენდ ნაგებობაში. გამწმენდი ნაგებობა შედგება სამი განყოფილებისაგან და მუშაობს ავტომატური რეჟიმით. საწყის ეტაპზე, ჩამდინარე წყლები მიეწოდება ქვიშის დამჭერს, სადაც ხდება მსხვილი ფრაქციის შეწონილი ნაწილაკების მოცილება. ქვიშის დამჭერიდან, ჩამდინარე წყლები გადადის ნავთობპროდუქტების დამჭერ განყოფილებაში, სადაც ზედაპირზე გამოიყოფა ნავთობპროდუქტები, თხელი აკვის სახით. აღნიშნული განყოფილება, გაწმენდის პროცესის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად, აღჭურვილია მოწყობილობით, რომელიც, ინტერმოლეკულური მიზიდვის ძალების მოქმედებით, უზრუნველყოფს ნავთობპროდუქტების წვეთების გადიდებას და აჩქარებს მათ ზედაპირზე ამოსვლას. ნავთობპროდუქტების მოშორების შემდეგ, ჩამდინარე წყლები მიეწოდება საფილტრ განყოფილებას, სადაც იწმინდება შეწონილი ნაწილაკებისაგან. ბოლო ეტაპზე, ჩამდინარე წყლების ღრმა წმენდის მიზნით წყალი გადადის სორბციულ განყოფილებაში, სადაც განთავსებულია სორბენტის შემცველი ფილტრი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის გავლის შემდეგ, გაწმენდილ წყალში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციები შეადგენს: შეწონილი ნაწილაკები - 60 მგ/ლ, ხოლო ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადები (TPH) - 5.0 მგ/ლ.

სკრინინგის განცხადების თანახმად, გამწმენდი ნაგებობიდან გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება ობიექტზე მოწყობილ, ბეტონით მოპირკეთებულ, სპეციალურ ჭაში, რომელიც გადახურულია ფოლადის ცხურით. აღნიშნული ჭიდან გაწმენდილი წყალი გადაინაცვლებს ავტოსამრეცხაოს მიმდებარედ არსებულ საწრეტ არხში (GPS კოორდინატები: X-719088 Y-4671430), რომელიც უერთდება ბუნებრივი ტბორის საწრეტ არხს (GPS კოორდინატები: X- 719030 Y-4671286) და შემდეგ ჩაედინება შავ ზღვაში (GPS კოორდინატები: X- 718915 Y-4671087).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობა და მისი ინფრასტრუქტურა უკვე მოწყობილია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს არსებულ ობიექტს და არ საჭიროებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გამწმენდი ნაგებობა მოწყობილია სწორი რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, სადაც საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკის მქონე უბნები არ ფიქსირდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოიქმნება ლამი და ნავთობპროდუქტების ნარჩენები, რომლის ამოღება ხდება, საჭიროებისამებრ, დაგროვების შესაბამისად. წარმოქმნილი ნარჩენები დროებით თავსდება მარკირებულ, დახურულ კასრებში, რომლებიც ინახება „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების სათავსოში და შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედების რისკებად განხილულია გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე მოწყობილი ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და ამავე ტერიტორიაზე არსებული სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ერთობლივი ექსპლუატაციით შავი ზღვის წყლის ხარისხზე და ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება. დოკუმენტის მიხედვით, ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობიდან გაწმენდილი წყლების ჩაშვების წერტილებს შორის დაშორების მანძილი შეადგენს დაახლოებით 450 მეტრს. ამასთან, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდა ხორციელდება „BioCAS“-ის ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მეშვეობით, რომელიც, გამწმენდის მაღალი ეფექტურობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების ნორმირებულ გაწმენდას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე მოწყობილი ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და ამავე ტერიტორიაზე არსებული სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ერთობლივი ოპერირების პირობებში, შავი ზღვის წყლის ხარისხზე და ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. გამწმენდი ნაგებობა მოწყობილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ, მობეტონებულ ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო. შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის და წარმადობის გათვალისწინებით, არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ფოთში, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ვალდებულია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო